

შპს „მრეწველობა 2020“

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი ახაშენი

ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო

ს კ რ ი ნ ი ნ გ ი ს გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

შპს „მრეწველობა 2020“-ს

დირექტორი არჩილ გოგინაშვილი:



გურჯაანი 2020

შინაარსი

| # | შინაარსი | გვერდი |
|-----|---|--------|
| 1 | შესავალი | 3 |
| 2 | საწარმოს განთავსება | 3 |
| 3 | დადგენილი ტექნოლოგიური სქემა | 3 |
| 3.1 | წარმადობა და ტექნოლოგიური რეჟიმი | 4 |
| 4 | დაგეგმილი საქმიანობის აღწერა | 4 |
| 4.1 | დაგეგმილი საქმიანობა და ტექნოლოგიური რეჟიმი | 4 |
| 4.2 | ტექნოლოგიური პროცესის აღწერა | 4 |
| 4.3 | წყალმომარაგება წყალარინება | 5 |
| 4.4 | ტექნოლოგიური ინფსტრუქტურის ელემენტები | 5 |
| 4.5 | გამოყენებული ბუნებრივი რესურსები | 5 |
| 5 | საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად გარემოზე შესაძლო ზემოქმედება | 6 |
| 5.1 | ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება | 6 |
| 5.2 | ზემოქმედება წყლის რესურსებზე | 6 |
| 5.3 | ხმაურის ზემოქმედება | 6 |
| 5.4 | ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკი | 6 |
| 5.5 | ზემოქმედება ბუნებრივ ლანდშაფტებზე და ბიოლოგიურ გარემოზე | 6 |
| 5.6 | ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე | 6 |
| 5.7 | სოციალურ გარემოზე ზემოქმედება | 7 |
| 5.8 | ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე | 7 |
| 5.9 | კუმულაციური ზემოქმედება | 7 |
| 6 | საამქროს გენგეგმა | 8 |

1. შესავალი

შპს „მრეწველობა 2020“-ს ინერტული მასალის სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო დაარსების სტადიაშია. 1978 კვ მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთარი ძალებით ღია ცის ქვეშ უნდა დამონტაჟდეს სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროს დანადგარები და აგრეგატები, აშენდება მისი ოპერატიული მართვის სათავსო, ოფისი და ოთახი მომსახურე პერსონალისათვის. ნედლეულად გამოიყენება სიახლოვეს არსებული მდ. ჭერმისხევის (ალაზნის შენაკადის) საბადოს ქვიშა-ხრეში, რომლის გადამუშავების შედეგად მიიღება სამშენებლო ქვიშა და ღორღი. ქვიშა-ხრემის მოპოვების ლიცენზიის ასაღებად წიაღის ეროვნულ სააგენტოში გაკეთებულია განაცხადი.

იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოში ხორციელდება ბუნებრივი რესურსის - ქვიშა-ხრემის გადამუშავება, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმიანობა ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1.

| | |
|--------------------------------------|---|
| საწარმოს ოპერატორი | შპს „მრეწველობა 2020“ |
| საწარმოს იურიდიული მისამართი | გურჯაანის მუნ-ტის სოფ. ახაშენი |
| საქმიანობის განხორციელების მისამართი | გურჯაანის მუნ-ტის სოფ. ახაშენის ტერიტორია |
| საქმიანობის სახე | წიაღისეულის - ქვიშა-ხრემის გადამუშავება სამშენებლო მასალებად - ქვიშდ და ღორღად. |
| დირექტორი | არჩილ გოგინაშვილი |
| საკონტაქტო ტელეფონი | 5.99.921931 |

2. საწარმოს განთავსება

საამქროს განთავსება დაგეგმილია გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშენის ტერიტორიაზე, სოფელ ახაშენის სამხრეთ-დასავლეთით 0.7 კმ მანძილზე, საავტომობილო გზა თბილისი-გურჯაანის სიახლოვეს. მიწის ნაკვეთის კოდია 51[.08.57.129, მისი ცენტრის კოორდინატებია: x-533370, y- 4627850. მიწის ნაკვეთის ფართობი 1978 კვ მ. უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 0.7 კმ მანძილზე.

3. დადგენილი ტექნოლოგიური პროცესის სქემა

საწარმოში ღია ცის ქვეშ განთავსდება ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროს დანადგარები და აგრეგატები, ქვიშა-ხრემის, ქვიშისა და ღორღის საწყობები.

ტექნოლოგიური პროცესის სქემა ითვალისწინებს შემდეგი ოპერაციების თანმიმდევრობას:

1. ქვიშა-ხრემის შემოტანა;
2. ქვიშა-ხრემის ჩაყრა მიმღებ ბუნკერში;

3. ბუნკერიდან ქვიშა-ხრემის მიწოდება გასაცხავებელ დანადგარში ქვიშის მოსაცილებლად. ამ პროცესში ხრემის მასა ირეცხება წყლის გამოყენებით;
4. მიღებული ქვიშის მასის გადატანა გამადიდრებელში ქვიშის გასამდიდრებლად.
5. ცხავზე დარჩენილი ხრემის მიწოდება ტრანსპორტიორის საშუალებით ყბებიან სამტვრევში;
6. ყბებიან სამტვრევში დამტვრეული მასის მიწოდება ტრანსპორტიორის საშუალებით გასაცხავებელ აგრეგატში და გაცხავება;
7. ქვიშის გადატანა ტრანსპორტიორით გამადიდრებელში, საიდანაც ტრანსპორტიორის გამოყენებით გადადის ქვიშის საწყობში. 5-10 და 10-20 მმ ფრაქციების მიღება-დასაწყობება და 20 მმ-ზე მსხვილი ფრაქციის გადატანა როტორულ სამსხვრევში, სადაც დამსხვრევის შემდეგ მიეწოდება გასაცხავებელ მოწყობილობას. პროცესი მიმდინარეობს უწყვეტად.

3.1. წარმადობა და ტექნოლოგიური რეჟიმი

საწარმოს დაგეგმილი აქვს წელიწადში 24000 კმ (48000 ტ) ქვიშა-ხრემის გადამუშავება, დაახლოებით 14400 ტ ქვიშისა (გამოსავალი 30 %) და 27840 ტ ღორღის (გამოსავალი 58 %) დამზადება. დანაკარგი რეცხვისას შეადგენს 12 %-ს (რეცხვისას წყალს მიყვება თიხოვანი და მტვეროვანი მინარევები).

გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაო რეჟიმი: 200 სამუშაო დღე/წელ, 8 საათიანი სამუშაო დღით.

მოსალოდნელია 5 ადამიანის დასაქმება.

4. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა

4.1. დაგეგმილი წარმადობა და ტექნოლოგიური რეჟიმი

საწარმო წელიწადში იმუშავებს 200 დღეს, 8 საათიანი სამუშაო დღით და 6 დღიანი სამუშაო კვირით. დამონტაჟებული მოწყობილობების პარამეტრების შესაბამისად საწარმოს შეუძლია წელიწადში გადაამუშაოს 240000 კმ ქვიშა-ხრემი, დაამზადოს 14400 ტ ქვიშა, და 13840 ტ 5-10 მმ და 14000 ტ 10-20 მმ ფრაქციების ღორღი.

4.2. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა.

ნედლეული - ბუნებრივი რესურსი ქვიშა-ხრემი შემოიზიდება მდ. ჭერმისხევის საბადოდან და ჩაიყრება მიმდებ ბუნკერში. მიმდები ბუნკერიდან ჩაიყრება უშუალოდ მის ქვეშ დამონტაჟებულ გამაცხავებელ მოწყობილობაში, იქ წყლის გამოყენებით რეცხვისა და გაცხავების შედეგად მიღებული ქვიშა წყლიანი ქვიშის გამტარი ღარის საშუალებით მიეწოდება გამადიდრებელს, ხოლო საცერზე დარჩენილი ხრემის მასა - ყბებიან სამტვრევს, სადაც მასის მტვრევის შემდეგ დამტვრეული მასა მიეწოდება გამაცხავებელ მოწყობილობაში. გაცხავების შემდეგ იყოფა ფრაქციებად: 0-5 მმ ქვიშა, 5-10 მმ და 10-20 მმ ღორღი. ქვიშა ტრანსპორტიორის გამოყენებით მიეწოდება გამადიდრებელს, 5-10 და 10-20 მმ ღორღი იყრება ქვიშისა და ღორღის საწყობებში, ხოლო 20 მმ-ზე მსხვილი ფრაქციის ღორღი მიეწოდება ტრანსპორტიორით ხელმეორედ დასამტვრევად როტორულ სამტვრევში. აღწერილი პროცესი მიმდინარეობს უწყვეტად. ერთ საათში გადამუშავდება 15 კმ (30 ტ) ქვიშა-ხრემი და მიიღება 9 ტ ქვიშა, 8.4 ტ 5-10 ფრ. და 9 ტ 10-20 მმ ფრაქციის ღორღი. მასალების წონა აიღება გამომშრალ მდგომარეობაში. მასალების დამზადების

პროცესში მათ გასამდიდრებლად გამოიყენება წყლით რეცხვა ქვიშის გამამდიდრებელში და გასაცხავებელ მოწყობილობებში გადამუშავებისას.

4.3. წყალმომარაგება და წყალარინება

საამქროში წყალი გამოიყენება მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო-სამეურნეო მიზნებისთვის 150 ტ ოდენობით წელიწადში და ქვიშა-ხრეშის კარიერიდან შემოტანილი ინერტული მასალის გადამუშავების პროცესში დღეში 75 ტონის ოდენობით, ე.ი. $75 \times 200 = 15000$ ტ/წელ. საამქროში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ჩაპდინარე წყლების შესაგროვებლად მოწყობილი იქნება მექანიკური გამწმენდი ორმო. ინერტული მასალის გადამუშავების შედეგად ნახმარი წყლების ჩაშვება განხორციელდება მექანიკური გამწმენდი ორმოს გავლით მდ. ჭერმისხევში.

4.4. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტები

საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია შემდეგი ინფრასტრუქტურის ელემენტები:

- ქვიშა-ხრეშის მიმღები ფოლადის ბუნკერი;
- ქვის ყბებიანი სამტვრევი;
- ქვის როტორული სამსხვრევი;
- დასხვრეული მასალის გამაცხავებელ-დამხარისხებელი 2 აგრეგატი;
- ქვიშის გამამდიდრებელი;
- ტრანსპორტიორები, რომლების ახორციელებენ:
 1. ქვიშა-ხრეშის მიწოდებას ყბებინ და როტორულ სამსხვრევეში;
 2. ქვიშის მიწოდებას გამამდიდრებელში;
 3. დასხვრეული მასალის მიწოდებას გამაცხავებელ-დამხარისხებელ აგრეგატებში;
 4. არასაკმარისად დამსხვრეული მასალის უკან მიწოდებას სამსხვრევეში ხელმეორედ სამსხვრევად;
 5. ქვიშის და ღორღის მიწოდებას შესაბამის საწყობებში.
- საოპერატოროს შენობა ფართით 4 კვ მ.

4.5. გამოყენებული ბუნებრივი რესურსები

საწარმო ფუნქციონირების პროცესში გამოიყენებს შემდეგი სახის ბუნებრივ რესურსებს:

- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს ფართით 1798 კვ მ, რომელზეც განთავსებულია საწარმოს ინფრასტრუქტურა;
- მიწისქვეშა მტკნარ წყალს ინერტული მასალის გადასამუშავებლად და მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის საკუთარ ტერიტორიაზე ახლად დაბურღული ჭაბურღილიდან. მიწისქვეშა მტკნარი წყლის გამოყენების ლიცენზიის ასაღებად უახლოეს დღეებში შეტანილი იქნება განაცხადი წიაღის ეროვნულ სააგენტოში ;
- ჭერმისხევის საბადოს ქვიშა-ხრეშს წელიწადში 24000 კმმ ოდენობით ოდენობით.

5. საწარმოს ექსპლუატაციისას გარემოზე შესაძლო ზემოქმედება

საწარმოს ფუნქციონირებისას ზემოქმედება ხორციელდება ატმოსფერულ ჰაერზე ინერტული მასალის სამსხვერ-დამხარისხებელი საამქროების მუშაობის შედეგად და მასალების ნარეცხი წრლების ჩაშვებისას მდინარე ჭერმისხევში..

5.1. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება

საამქროდან 1 წლის განმავლობაში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ინერტული მასალის მტვერის რაოდენობა ტოლია 0.864 ტ-ის.

ანგარიში ჩატარებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის # 435 დადგენილებით დამტკიცებული დებულების „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტორივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტორივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტორივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ“ გამოყენებით.

5.2. ზემოქმედება წყლის რესურსებზე

ჭაბურღილიდან ამოღებული მიწისქვეშა მტკნარი წყალი გამოიყენება ინერტული მასალების რეცხვისთვის და მუშა-მოსამსახურეთა სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის წელიწადში დაახლოებით 15000 კმ-ს ოდენობით.

5.3. ხმაურის ზემოქმედება

საამქროს შემდეგ მოწყობილობებს - ყბებიან და როტორულ სამსხვერვეებს და გამაცხავებლებს მუშაობის პროცესში აქვთ გარკვეული ხმაური, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო 0.7 კმ-ით დაშორებულია უახლოეს საცხოვრებელ სახლიდან, ამ მანძილზე ხმაურის ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

5.4. ნარჩენებით ვარემოს დაბინძურების რისკები

საწარმო მუშაობს ნარჩენების გარეშე, რადგან ინერტული მასალების სამსხვერვე-დამხარისხებელ საამქროში წარმოქმნილი ნარჩენები - ქვიშა-ხრეშის და ინერტული მასალების რეცხვისას მექანიკურ სალექარში მოხვედრილი წმინდა ფრაქციის მასა რაოდენობით 3600 ტ, რაც გროვდება მექანიკური გამწმენდი ორმოდან მისი სისტემატიური ამოწმენდით, წარმოადგენს წმინდა ლესვებში გამოყენებად მასალას, რომელზეც მომხმარებელში დიდი მოთხოვნილებაა. მისი რეალიზაცია განხორციელდება წმინდა ფრაქციის ქვიშის სახით.

საწარმოში წარმოიქმნება მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენები 5 მუშა-მოსამსახურის იქ ყოფნის შედეგად. მის განსათავსებლად საწარმოს ტერიტორიაზე დადგმულია ნარჩენების განსათავსებელი ურნა, საიდანაც პერიოდულად განხორციელდება ნარჩენების გატანა ნაგავსაყრელზე.

5.5. ზემოქმედება ბუნებრივ ლანდშაფტსა და ბიოლოგიურ გარემოზე

საწარმოს ინფრასტრუქტურა განთავსებულია ვაკე ადგილზე და მნიშვნელოვნად არის დაცვილებული ტყის მასივს. იქ დაგეგმილი არ არის მიწისა ან სამშენებლო სამუშაოების წარმოება. საწარმოს ფუნქციონირებით მოსალოდნელი არ არის ლანდშაფტზე და ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება.

5.6. ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე

სატრანსპორტო ნაკადებზე იმოქმედებს საწარმოს ტერიტორიაზე ქვიშა-ხრემის შემოზიდვა, ქვიშისა და ღორღის გაზიდვა მათი რეალიზაციისას, რაც შეადგენს სრული საპროექტო სიმძლავრით მუშაობის შემთხვევაში ერთ სამუშაო დღეში 50-60 რეისის განხორციელებას.

5.7. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

საამქროს ფუნქციონირების დაწყებით შეიქმნება 5 სამუშაო ადგილი, აგრეთვე საქმიანობა მოემატა რეგიონში არსებული სატვირთო მანქანების მფლობელებს. გარდა ამისა, პროდუქციის რეალიზაციის შედეგად შემოსული თანხებიდან გადაიხდება სახელმწიფო ბიუჯეტში კანონით დდგენილი გადასახადები, რაც დადებითად აისახება სოციალური გარემოს გააუმჯობესებაზე.


5.8. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე

როგორც ცნობილია ინერტული მასალის სამსხვრევ-დამხარისხებელ საამქროში პროდუქციის წარმოება მთლიანად მექანიზირებულია. სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროს ყველა დანადგარი დამონტაჟებულია ღია ცის ქვეშ და პროდუქციის წარმოების მართვა ხორციელდება საოპერატორის დახურული კაბინიდან, რომელიც განთავსებულია სამსხვრევიდან 6 მ დაშორებით და დაცულია მტვერის შეღწევისგან. ამიტომ უშუალო კონტაქტი დანადგარებთან არავის არა აქვს და ამ მიზეზით მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენა არ არის მოსალოდნელი.

5.9. კუმულაციური ზემოქმედება

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში გაიფრქვევა მხოლოდ ინერტული მასალის მტვერი, რომლებიც არ მიეკუთვნებიან დაშიშ ან ტოქსიკურ ნივთიერებებს. ამავდროს საწარმოს სიახლოვეს არ არის საცხოვრებელი სახლი, დაწესებულებები და საწარმოები, ამიტომ გარემოზე კუმულაციური ზემოქმედებას ადგილი არა აქვს.

საწარმოს გეგმა მ 1:400



გენგემის ექსპლიკაცია

1. მიწის ნაკვეთი
2. საოპერატორო
3. ქვიშა-ხრემის მიმღები ბუნკერი
4. ყბებიანი სამსხვრევი
5. მასალის გადასადგილებელი ტრანსპორტიორები
6. როტორული სამსხვრევი
7. გამაცხავებელი აგრეგატი # 1
- 8, გამაცხავებელი აგრეგატი # 2
8. ქვიშის საწყობი
9. 5-10 მმ ფრაქციის ღორღის საწყობი
10. 10-20 მმ ფრაქციის ღორღის საწყობი
11. ქვიშის გამამდიდრებელი
12. ნახმარი წყლის არხი
13. მექანიკური გამწმენდი
- 14 გაწმენდილი წყლის ჩამშვები არხი
- 15 ოფისი.
16. მომსახურე პერსონალის ოთახი
17. ტუალეტი
18. პანდუსი